

# პოლონეთის და საქართველოს პერსპექტივა და გამოცდილება ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის და მოძალადისთვის დახმარების უონტექსტში



2019 წელი  
თბილისი

**ფონდი „Humandoc“** 2010 წლიდან არსებობს. მისი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (კერძოდ, საქართველოში, უკრაინასა და ბელარუსში) თანამშრომლობის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების რეალიზება. ფონდი მიმართულია იმ სხვადასხვა საკითხების გადანიშნულებაზე, რომელიც ხელს უწყობს მენარმეობის და სოციალურ განვითარებას. ფონდი ნერგავს ახალ მექანიზმებს, რომლებიც ორიენტირებულია „Humandoc“-ის საქმიანობის სფეროებში სისტემური ცვლილების შეტანაზე.

**ასოციაცია „მერკური“** – ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2004 წელს ზუგდიდში. ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვა და ადვოკატირება, ოჯახში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა, არაფორმალური განათლების სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელება, მოხალისეობის პოპულარიზაცია და სხვა. 2018 წლიდან ორგანიზაციასთან ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა და ბავშვთა თავშესაფარი.

**ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი** (ძდექ) 2003 წლიდან მუშაობს ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ძდექ-ი საქართველოს მასშტაბით აერთიანებს 10 რეგიონულ კომიტეტსა და 6 ქვე-კომიტეტს. ორგანიზაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობს სამართლებრივ დახმარებას, ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასა და თავშესაფრის მომსახურებას, მსხვერპლი ქლების პროფესიულ განათლებას, ეკონომიკურ გაძღერებას და მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.

## სარედაქციო ჯგუფი:

სტანისლავ ბრუნდოხ, მეგი ბიბილური,  
ნანა თოდუა, გოგა რუხაძე

## თარგმანი:

ლელა პაპუაშვილი

## კორექტორი:

ნინო დიდბერუაშვილი

## დიზაინერი:

შალვა მურადაშვილი

პროექტი თანადაფინანსებული „პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის“ მიერ, „RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისათვის“.

## ავტორები

**ნინო ტყეშელაშვილი** - პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი.

**ანა ვოლოშჩუკი** (პოლონეთი) — ფსიქოლოგი, სისტემური ფსიქოთერაპევტი, ძალადობის ჩამდენი პირებისთვის საკორექციო-საგანმანათლებლო პროგრამების წამყვანი.

**რუსუდან პაჭკორია** – იურისტი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ასოციაციის სასწავლო ცენტრის ტრენერი, უფლებადამცველი.

**ელისო ამირეჯიბი** - ძალადობის ეროვნული ქსელის პროგრამების კოორდინატორი

ქვემოთ მოცემული პუბლიკაცია შეიქმნა პროექტის „ოჯახური ძალადობის ჩამდენ პირთა თერაპიის სისტემის საფუძვლების შექმნა“. ფარგლებში რომელიც თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA — რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისათვის“. პროექტი ხორციელდება ფონდი HumanDoc-ის (პოლონეთი) მიერ ასოციაცია მერკურის და ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელის (საქართველო) ერთობლივი თანამშრომლობით.

პუბლიკაციაში მოცემულია პოლონეთის და საქართველოს პერსპექტივა და გამოცდილება ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის და მოძალადისთვის დახმარების კონტექსტში. ასევე განხილულია პროგრამები და სამართლებრივი რეგულაციები და ნორმატიული აქტები რომლებიც არეგულირებენ მოძალადისთვის დახმარების განწესას.

## სარჩევი

შესავალი .....	7
მოქალაქებთან მუშაობის სპეციფიკა პრობაციის ეროვნულ სააგენტოში .....	8
ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქვეყნის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამა - ამოცანები: .....	11
პროგრამის ფაზები .....	16
შეჯამება .....	19
სამართლებრივი რეგულაციები და მახორჩაბი რეგულაციები-საგანმანათლებლო პროგრამები პოლიციისთვის .....	21
მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული საფუძვლები .....	24
მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე მოძალადე .....	26
მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამა პოლიციისთვის .....	28
პროგრამის თეორიული საფუძვლები .....	30
მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის ეტაპები: .....	32
მოქალაქე და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები საქართველოში .....	39
მოძალადის ცნება .....	39
ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები .....	40

შემაჯავებელ ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს: .....	41
განმეორებითი ძალადობის რისკების შეფასება	
შემაჯავებელი ორდერის გამოცემისას .....	42
პასუხისმგებლობა შემაჯავებელი და დამცავი	
ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების	
შუსრულებლობისათვის .....	46
მოდალადე და არასრულწლოვანი მსხვერპლი .....	49
მოდალადის დამოკიდებულებებისა და	
ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები .....	51
ძალადობრივი ძველის გამომწვევი რისკ ფაქტორები .....	56
ინდივიდუალური ფაქტორები .....	57
პირველადი ოჯახი .....	57
ტრავმული გამოცდილებები, ფსიქიკური	
ჯანმრთელობის პრობლემები და	
ფსიქოპატიური ნივთიერებების მოხმარება: .....	58
სიტუაციური ფაქტორები: ქორწინება .....	61
დანაშაული: .....	63
საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორები: .....	65
დასკვნა .....	68

## შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც ქალების უფლებების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა და ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით მეტად მწვავეა, ვინაიდან ძალადობა ხდება გარემოში, სადაც ნდობის, სიყვარულის და დაცულობის ხარისხი ყველაზე მაღალი უნდა იყოს. შესაბამისად, საქართველოში ქალებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი უფლებების, კეთილდღეობის, პიროვნული ხელშეუხებლობის, ღირსების, სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაცვის გარანტია, ვინაიდან სწორედ მათი უფლებების დაცვის საშუალებით, არის შესაძლებელი ბავშვების, მომავალი თაობის დაცვა და ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრა.

ამ მიმართულებით ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რაც გულისხმობს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით პრევენციული სახის ღონისძიებების გატარებას, კანონმდებლობის გაუმჯობესებას, პოლიტიკური რეფორმებს და ამასთან ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვას და გაძლიერებას.

ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენა და აღკვეთა, მსხვერპლთა უფლებების დაცვა და შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, მოძალადე პირების (პარტნიორების) ქცევის შეცვლაზე მიმართული ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა.

## მოდალადაბთან მუშაობის სპეციფიკა პრობაციის ეროვნულ სააგენტოში

2015 წლიდან სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო აქტიურად მონაწილეობას საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016 - 2020 წლების სამოქმედო გეგმების“ შემუშავებაში. აღნიშნულ გეგმა(ებ)ში სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებულია მოძალადეების ქცევის კორექციის პროგრამების შექმნაზე და განხორციელებაზე მუშაობა.

იმდენად რამდენადაც, პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის მიზანია პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პირთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. რასაც ახორციელებს სარეაბილიტაციო და რესოციალიზაციის პროგრამების განვითარების ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბების, ბენეფიციართა ჩართულობისა და მონაწილეობით პრინციპებზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო პროგრამებისა და ღონისძიებების დანერგვის გზით. უწყებისთვის პრიორიტეტულია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში ძალადობრივი ქცევის შემცირებისაკენ მიმართული სარეაბილიტაციო

პროგრამების განხორციელება და განვითარება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები: პრობაციის ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები იყენებენ მულტიდისციპლინურ მიდგომას და ინდივიდუალური რისკებისა და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით, სთავაზობენ სრულწლოვან/არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებს, ამასთან საინფორმაციო, ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ ტრენინგებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეხვედრებს დანაშაულის გაცნობიერების, ძალადობრივი ქცევის შემცირებისა და ძალადობის პრევენციის მიზნით.

2015-2016 წწ-ში სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველომ გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით და „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელთან“ თანამშრომლობით შექმნა ახალი საინტერვენციო პროგრამა მოძალადეებისათვის - „ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა“ (ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობისათვის).

2016 წელს „ძალადობრივი ქცევის მართვის“ სარეაბილიტაციო პროგრამის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და ოფიცრები გადამზადდნენ. აღნიშნული ტრენინგის შემდეგ პროგრამის განხორციელე-

ბა დაინყო ყველა იმ პრობაციის ბიუროში სადაც ფსიქოლოგის მომსახურება იყო შესაძლებელი.

2017 წელს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიქმნა მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი. რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ პენიტენციური სამსახურის, პრობაციის და დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლები. აღნიშნული ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა/დაიხვეწა პროგრამა „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“.

2018 წელს დაინყო მოძალადეებისთვის „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“-ს პილოტირება სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში. პროგრამა პილოტირების შემდეგ ინსტიტუციონალიზაციის მიზნით გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს და შესაბამის უწყებებს.

## ძალადობრივი დამოუკიდებლობისა და ქვეყნის ზეცვლაზე ორიენტირებული პროგრამა - ამოცანები:

აღნიშნული პროგრამა თერაპიული თემებს მოიცავს და მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის გენდერული ძალადობრივი ქმედების შემცირება/აღმოფხვრას, სექსისტურ-დისკრიმინაციული ქცევების მოდიფიკაციას და რეციდივის პრევენციას. პროგრამის ძირითადი მიზანია ყოველგვარი სახის ძალადობრივი ქმედების აღმოფხვრა საკუთარი მენყვილისა თუ შვილების მიმართ და ძალადობის გამომწვევი ქცევისა თუ რწმენა-შეხედულებების შეცვლა.

### პროგრამის მიზანს წარმოადგენს:

- ✓ თერაპიის მიმართ პოზიტიური განწყობის შექმნა;
- ✓ ძალადობრივ ქცევაზე ცნობიერების ამაღლება;
- ✓ გენდერული თანასწორობის, როლების შესახებ მცდარი აზრების და რწმენა-შეხედულებების მოდიფიცირება;
- ✓ ცნობიერების ამაღლება, ემოციების მართვის უნარისა და ემპათიის გრძნობის გამომუშავება მსხვერპლის მიმართ;
- ✓ პასუხისმგებლობის ამაღლება;
- ✓ ძალადობრივი ქცევების რეციდივის პრევენცია.

- გამაფრთხილებელი ნიშნების იდენტიფიცირება, რომლებსაც მოჰყვება აგრესიული ქცევა;
- ✓ პროსოციალურ უნარ-ჩვევების განვითარება კონფლიქტის მოგვარებისათვის;
  - ✓ პარტნიორულ ურთიერთობებში თანასწორობა-სა და პატივისცემაზე დამყარებული ქცევითი ნორმების განვითარება.

## სარეაბილიტაციო პროგრამის სტრუქტურა

ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამა ძირითადად ჯგუფური ხასიათისაა, გამონაკლისის სახით პროგრამა შეიძლება ინდივიდუალურ ფორმატშიც ჩატარდეს, თუ მსჯავრდებულის თვისობრივი მახასიათებლები არ იძლევიან ჯგუფურ ფორმატში მუშაობის საშუალებას.

- პროგრამა 10 (ათი) მოდულისგან შედგება და 25 (ოცდახუთი) ჯგუფურ სესიას მოიცავს.
- ჯგუფის სახეობა - დახურული, ვინაიდან მოცემულ სამიზნე ჯგუფთან ძირითადად უპირატესობა ენიჭება დახურული ჯგუფების ტიპს, რათა მონაწილეთა შორის მჭიდრო კავშირი ჩამოყალიბდეს, რაც ხელს შეუწყობს თერაპიულ ინტერვენციას.
- მონაწილეთა რაოდენობა -12

## პროგრამის ხანგრძლივობა

ძირითადად პროგრამა 25 სესიისგან შედგება. მისი ხანგრძლივობა - 6.5 თვეა, თუმცა შესაძლებელია პროცესი გაგრძელდეს, რაც დამოკიდებულია მომხმარებელის მახასიათებლებზე, რეციდივის რისკის დონეზე, სასჯელის ხანგრძლივობაზე, პროგრამის განვითარების გარემოსა და მასში მონაწილეთა ჩართულობის ფაქტორებზე.

## სეანსების ხანგრძლივობა და პერიოდულობა

სეანსი ტარდება კვირაში ერთხელ, სესიის ხანგრძლივობა - 1.5 საათი.

## ჯგუფში ჩართვის და გარიცხვის კრიტერიუმები:

ძირითადად მონაწილეთა ჩარიცხვისა და გარიცხვის კრიტერიუმები არ არის დადგენილი. თუმცა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, ხომ არ არის მონაწილე მოცემულ დროს ალკოჰოლზე ან სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებული, რაც აფერხებს სარეაბილიტაციო პროცესს. ამისთვის, სასურველია, მონაწილესთან ჯერ დამოკიდებულების პრობლემის მოგვარების მიზნით სხვა სახის თერაპია ან მკურნალობა ჩატარდეს და შემდეგ ჩაერთოს აღნიშნული პროგრამაში. ამასთან, არსებობს კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ მონაწილესთან პარალელურად ორი სახის თერაპია ჩატარდეს (ნარკოდაამოკიდებულების მკურ-

ნალობის კურსი და მოძალადეთა სარეაბილიტაციო კურსი), თუმცა ამისთვის მონაწილე სიფხიზლის ფაზას უნდა ინარჩუნებდეს.

პროგრამიდან გარიცხვის კრიტერიუმში შედის დაუსწრებლობა და ქცევის იმ ნორმების დარღვევა, რომელიც საგრძნობლად აფერხებს სეანსის ჩატარებას.

### პროგრამის მოდულების სტრუქტურა და სეანსები

პროგრამის მოდულები და სეანსები ესპანურ ვერსიაზე დაყრდნობით, მოდიფიცირდა და დამუშავდა იმ საჭიროებების და მოთხოვნების შესაბამისად, რომლის განსაზღვრაც სპეციალისტების სამუშაო ჯგუფმა მოახდინა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ადგილობრივ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა პროგრამა, რომელიც შეიცავს იმავე მოდულებსა და საკვანძო პრინციპებს, რასაც ესპანური პროგრამა. თითოეული სეანსის საკვანძო კონცეფციებთან ერთად, შენარჩუნებულია პროგრამის თანმიმდევრობა და პრაქტიკული სავარჯიშოები, რათა ფასილიტატორებს გაუადვილდეთ სეანსის განმავლობაში ძირითადი კონცეპტუალური საკითხების გადმოცემა და მათზე მუშაობა.

თითოეული 10 მოდული სეანსებად არის დაყოფილი. სეანსებს თავის მხრივ შესაბამისი მეთოდოლოგია გააჩნიათ, რომლის შინაარსი შედგენილია გარკვეული კრიტერიუმე-

ბის მიხედვით, რათა სპეციალისტთა ჯგუფს გაუმარტივდეს მათი გამოყენება.

### სეანსის განვითარების მეთოდი:

პროგრამა ფსიქო-საგანმანათლებლო მიდგომით ხასიათდება. თითოეული სეანსი დასამუშავებელ თემაზე მსჯელობით იწყება. შემდეგ დინამიკის საფუძველზე ხდება აღნიშნულ საკითხში ჩაღრმავება და მონაწილეთა მხრიდან მის შესახებ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება. ამის შემდეგ თერაპევტი, დიდაქტიკური მეთოდის გამოყენებით მონაწილეებს აცნობს კონცეფციებს, რაც ხელს შეუწყობს მათი თითოეულ სეანსში ჩართულობასა და საკუთარი ხედვის გაზიარებას. სეანსებს შორის მონაწილეებს შეიძლება მიეცეს დავალებები დამუშავებული თემის გარშემო, რომელიც განხილული იქნება მომდევნო სეანსებზე, ამასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს როლურ სავარჯიშოებს, ჩვენებას და სხვა.

### **პროგრამის სეანსებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის:**

- აუდიო-ვიზუალური მასალა და ანალიზი;
- ტექსტის კომენტარი;
- თემაზე ორიენტირებული დებატები და დისკუსიები;
- ნყვილებში მუშაობა;
- რეალური ინფორმაციის ანალიზი;

- როლური გათამაშება;
- საკუთარი ბიოგრაფიის რედაქტირება;
- ინდივიდუალური სავარჯიშოები, რომლებიც პიროვნების პირადი ისტორიების ანალიზს მოითხოვენ;
- ემოციური და ქცევითი თვითკონტროლის ტექნიკა;
- შინაარსის წარმოსახვის დინამიკა.

## პროგრამის ფაზები

პროგრამის ხანგრძლივობაა 6.5 თვე და შემდეგ ფაზებს მოიცავს:

### ▪ შეფასების და მოტივაციის ფაზა:

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რასაც მოძალადეებთან მომუშავე სპეციალისტები უმკლავდებიან, არის გარკვეული თერაპიული მდგომარეობის მიღწევა ინტერვენციის დასაწყისშივე, რაც ხელს უწყობს მათი მხრიდან წინააღმდეგობისა და უარის შემცირებას. თერაპიის დროს გულწრფელობის და ნდობის მოპოვება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეფექტიანი ინტერვენციის მისაღწევად. მონაწილის გულწრფელობისთვის საჭიროა ადეკვატური თერაპიული ალიანსის შექმნა და ცვლილების მიმართ მოტივაციის გაღვივება. ამ მიზნით პროგრამაში სამი ინდივიდუალური სესიაა ბენეფიციარისთვის გამოყოფილი.

▪ **თერაპიული ინტერვენცია** - (ჯგუფური ან ინდივიდუალური)

პროგრამა შეიცავს 10 თერაპიულ მოდულს, რომელიც შემდეგ სენსებად არის განაწილებული:

### თემატიკა და სესიების რაოდენობა:

1. ემოციური ინტელექტი -3 სესია
2. პოზიტიური ფიქრები და გუნება-განწყობილება -3 სესია
3. გენდერისა და მასკულინობის თანამედროვე განსაზღვრება - 2 სესია
4. თვითკონტროლის უნარი და ბრაზის მართვა - 3 სესია
5. სხვის ადგილზე საკუთარი თავის წარმოდგენის უნარი: ემპათია - 3 სესია
6. როდესაც ვინმეს დაკარგვის გვეშინია: ეჭვიანობა - 3 სესია
7. ანტიდოტები ფსიქოლოგიური ძალადობის წინააღმდეგ - 3 სესია
8. დაშორებასთან გამკლავება და ჯანსაღი ურთიერთობის აგება წყვილთან - 2 სესია
9. მცირეწლოვანებზე ფიქრი - 1 სესია
10. სამომავლო ურთიერთობებთან გამკლავება - 2 სესია

- **პოსტსარეაბილიტაციო შეფასება**, სადაც გამოყენებული იქნება წინასარეაბილიტაციო ფაზაში გამოყენებული ინსტრუმენტები
  - ✓ სიღრმისეული ინტერვიუ;
  - ✓ „SARA“-ს კითხვარი;
- **მონიტორინგი/ ზედამხედველობა**
  - ✓ მონიტორინგის/ზედამხედველობის დროს შესაძლებელია ზემოთაღნიშნული კითხვარების გამოყენება;
  - ✓ პარტნიორ ქალთა მიმართ ძალადობის მიმღებლობის ტენდენციის კვლევის კითხვარი;

### პროგრამის დასრულების და დაკვირვების ფაზა:

პროგრამის დასრულების შემდეგ დაგეგმილია ერთი ინდივიდუალური სეანსი თითოეულ მონაწილესთან, რათა შეფასდეს მათ მიერ მიღწეული ცვლილებები წინარე ფაზებთან მიმართებაში. აღნიშნულ სეანსზე მონაწილესთან ერთად განიხილება მისი ქცევის ცვლილებები, არსებული შედეგები და მიღწევები.

პროგრამის დასრულების და მისი ეფექტიანობის შესწავლის შემდეგ, ტარდება შეფასება, მონაწილის თერაპიული ცვლილებების დასადგენად.

შეფასება ხდება ინტერვენციამდე, ხოლო შუალედური შეფასებები შეიძლება მოხდეს ინტერვენციის დაწყებიდან 3 თვის/ნ თვის და ინტერვენციის დასრულების შემდგომ.

## შეჯამება

პროგრამის მისაღწევ მიზნებს შორის, მნიშვნელოვანია გენდერული ძალადობის და მისი შედეგების, ფსიქოლოგიური, ფინანსური თუ სქესობრივი ზენოლისა და ბავშვებზე ძალადობის შედეგების, ძალადობრივი და პოზიტიურ ურთიერთობებს შორის განსხვავებების დადგენა. ამასთან, მოძალადესა და მსხვერპლს შორის ძალადობრივი ურთიერთობის არეალის გაფართოება, სადაც ყურადღება დაეთმობა არა მხოლოდ ფიზიკურ ზენოლას, არამედ ემოციური, სქესობრივი და ფსიქოლოგიური ზენოლის ფორმებსაც.

პროგრამის მსვლელობისას, ფასილიტატორი, აპელირებს, ნეგატიურ ღირებულებებზე რომელიც უარყოფენ და უგულბებელყოფენ ქალთა თანასწორობას და თავისუფლებას და დომინანტურ ხასიათს ატარებენ კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში. რაც თავის მხრივ განაპირობებს, ჩვენი საზოგადოების მენტალურობის ჩამოყალიბებას და მიუხედავად იმისა, რომ ეს ღირებულებები თანასწორობასა და თავისუფლების პრინცი-

პებს უპირისპირდება, დღესდღეობითაც ძალიან რთულია მათი შეცვლა/აღმოფხვრა.

ბოლოსკენ მინდა ავლნიშნო, რომ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამა სიახლეა ჩვენი ქვეყნისთვის, შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ მისი პრაქტიკაში დანერგვა, პროცესის პერიოდული შეფასება/კვლევა და ანალიზი, საბოლოოდ განაპირობებს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას და გარკვეული ასპექტების გაუმჯობესებას, რაც პოზიტიურად აისახება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ცვლილებებზეც.

### გამოყენებული ლიტერატურა:

„ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“ — 2018 წელი

**პრობაციის ეროვნული სააგენტო**  
**სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო**  
**ნინო ტყეშელაშვილი**

ანა ვოლუმჩეკი

## საართლაბრივი რეჟულაცია და მაორეტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამები პოლონეთში

ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ 29.07.2005 წ. კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მოძალადე უნდა ჩაერთოს მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამაში. ეს უკანასკნელი შემუშავებული და განხორციელებულია რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულის მიერ. ზემოხსენებული მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამები განკუთვნილია ოჯახში მოძალადისთვის, მე-6 მუხლის შესაბამისად.

2011 წლის 22 თებერვალს მიღებულ იქნა შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრის განკარგულება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერ ცენტრებში მომუშავე სპეციალისტებისა და ოჯახში მოძალადესთან მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების კვალიფიკაციის სტანდარტების შესახებ.

### ოჯახში მოძალადეზე განხორციელებული ქმედებების მიზანი

- 1) ოჯახში მოძალადის სამომავლო ძალადობისგან შეკავება;
- 2) ოჯახში თანაცხოვრებისა და თვითკონტროლის უნარის განვითარება;

- 3) ბავშვების აღზრდა ოჯახში, ძალადობის გამოყენების გარეშე;
- 4) მოძალადის მიერ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღიარება;
- 5) ოჯახში ძალადობის წარმოშობის მექანიზმების შესახებ ცოდნის შექმნა და გაღრმავება;
- 6) ოჯახში კონფლიქტების მოგვარება ძალადობის გარეშე და კომუნიკაციისთვის საჭირო უნარების შექმნა;
- 7) თერაპიის შესახებ ინფორმაციის მოძიება.

### **ოჯახში მოძალადის მიმართ მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო ქმედებების განხორციელება ხდება შემდეგ შემთხვევებში:**

- მოძალადის მიმართ განხორციელებულია თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებები ან სასამართლო უნიშნავს პირობით მსჯავრს იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე მონაწილეობას იღებს მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამებში.
- იმ მოძალადეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა დამოკიდებულების მკურნალობის თერაპიაში, მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამაში განევრიანება შეიძლება წარმოადგენდეს თერაპიის ძირითად ნაწილს.
- იმ პირთა მიმართ, რომლებიც საკუთარი სურვილით თანხმდებიან მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობაზე;

## პოლონეთის სამართლებრივი რეგულაციების თანახმად, მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა შესაძლებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- მოძალადე, რომელიც დამოკიდებულია ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, ფსიქოტროპულ საშუალებებზე ან სხვა ნივთიერებებზე, ვალდებულია, პირველ რიგში, გაიაროს მანე დამოკიდებულების თერაპია.
- მოძალადეების მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ისეთ ადგილას, სადაც მსხვერპლთა მხარდამჭერი პროგრამები არ მიმდინარეობს.
- ხდება მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის მსვლელობის და შედეგის მონიტორინგი.

## მაკორექტირებელ - საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი შემდეგი სპეციალობით: ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, სპეც. პედაგოგიკა, მეცნიერება ოჯახის შესახებ, პოლიტოლოგია, სამოქალაქო განათლება და პოლიტოლოგია, რესოციალიზაცია ან სოციოლოგია. ასევე, მას უნდა ჰქონდეს გავლილი ოჯახური ძალადობის ტრენინგები 100 სთ, მათ შორის, 50 სთ – მოძალადესთან მუშაობის გამოცდილება

მაკორექტირებელ-საგანმათლებლო პროგრამის იდეის წარმოშობა იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც ძალადობის მსხვერპლი ოჯახის წევრია, ოჯახში ძალადობა თაობიდან თაობას გადაეცემა. აღნიშნული ქმედების კორექტირება შესაძლებელია ჩასატარებელ სამუშაოთა საგანმანათლებლო ნაწილის მეშვეობით.

## მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული საფუძვლები

მოდელისთვის მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამა „PARTNER“ განხორციელდა აშშ-ში Duluth-ს პროგრამის საფუძველზე. პროგრამა მიემართება ძალადობის წარმოშობის წყაროს, რომელიც შეიძლება იყოს ნასწავლი ან მემკვიდრეობითი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის საშუალებით შესაძლებელია აგრესიულ ქმედებათა შემცირება, ასევე პატივისცემის გაღვივება ქალთა მიმართ.

აგრესიის ჩანაცვლებითი ტრენინგი “ART” – არის მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს აგრესიის, სიბრაზის, არაადექვატური ქცევის მქონე პირებთან მუშაობას. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება მონაწილეების ისეთი საბაზისო სოციალური უნარ-ჩვევების შექმნას, როგორებიცაა ემოციების დაძლევა და ზნეობრივი ზრდა. აგრესიის ჩანაცვლებითი ტრენინგი წარმოადგენს შემეცნებით-ბიჰევიორალურ (ქცევით) ჯგუფს. მონაწილის სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე, ხორციელდება უნარებისა და დადებითი მხარეების მოძეღვრა, რაც გავლენას ახდენს ქცევის ცვლილებაზე.

2014 წლის ex-post PKE მაკორექტირებელ-საგანამანათლებლო პროგრამების შედეგების ანგარიში. პროგრამის კურსდამთავრებულების შეფასება.

პროგრამის განხორციელებისას შექმნილი უნარები:	%
მოლოდინის, გრძნობების, სურვილებისა და საჭიროებების გამონახვა	70%
აუხდენელი მოლოდინის და იმედგაცრუების გადატანა	60%
ოჯახთან კონსტრუქციული საუბარი	80%
აგრესიული საქციელის სიმპტომების წინასწარ განსაზღვრა	70%
აგრესიული საქციელის მომომწვევი მიზეზის დადგენა	70%
აგრესიული საქციელის შემცირება	60%
მონაწილეობის მიღება დახმარების სხვადასხვა პროგრამაში	70%

ოჯახში ძალადობის შეჩერება საჭიროა არა მხოლოდ მსხვერპლის, დაზარალებულის და მოწმეების დაცვის უზრუნველსაყოფად, არამედ, ასევე, წარმოადგენს კომპეტენტურ დახმარებას აგრესიული, ემოციურად გაუნონორებული ადამიანებისთვის. ოჯახში ძალადობის პრევენცია არ გულისხმობს მხოლოდ დამნაშავეთა იზოლაციას, არამედ მოძალადეს აძლევს ოჯახში, საზოგადოებაში დაბრუნების საშუალებას. მოძალადეს ეძლევა გამოსწორების და მამის, ქმრის, ბაბუის და ა.შ. როლის შესრულების შესაძლებლობა.

აგრესიულ ადამიანთან მუშაობა დაკავშირებულია მრავალნიუანსთან, ფსიქოლოგიური მექანიზმების ცოდნასთან, რაც გვეხმარება დესტრუქციული ქცევის გამოსწორებაში. შეფასებისა და იარღიყებისგან თავი უნდა შევიკავოთ, რათა მივცეთ მოძალადეს გამოსწორების საშუალება.

# მაორაქხირაუალ-საგანათლაულო პროგრამის მონაწილე მოძალადა

## მოძალადის დახასიათება

### 1. ძალადობის წინაპირობა

- ერთი ან ორივე მშობლის დამოუკიდებლობა;
- ოჯახში მიჯაჭვულობის დარღვევა;
- შემცირებული ინტელექტუალური შესაძლებლობები;
- ემოციური დარღვევა;
- პიროვნების აშლილობა;
- ძალადობის გამოცდილება ბავშვობაში (40%).

### 2. მოძალადის პიროვნული თვისებები (Tucholska 2002)

#### ემოციური მომნიშვნელობა

- იმპულსურობა,
- ეგოცენტრიზმი,
- გარიყულობა,
- ღირებულებათა დაბალი დონე,
- დაბალი თვითშეფასება,
- უსაფრთხოების შეგრძნების შემცირება,
- ემპათიის არქონა,
- შემეცნებითი აქტივობის შემცირება,
- კომპრომისის უნარის არქონა.

3. ფსიქოპათოლოგიური მექანიზმები აგრესიის გამოვლინებებით:

#### **დამოკიდებულება**

- ამბივალენტურობა,
- სიახლოვის პრობლემები ურთიერთობაში,
- უნდობლობა,
- ეჭვიანობა,
- ცხოვრებაში კმაყოფილების ნაკლებობა,
- ინტიმურ ურთიერთობაში ბედნიერების არქონა,
- იმპულსურობა,
- თავდაცვის ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორცაა გარიყულობა, უარყოფა, იზოლაცია, პროექცია.

#### **4. მოძალადეთა სამი სახეობა, Holtworth-Munroe, Stuart-ის თანახმად**

**პირველ სახეობას** განეკუთვნებიან ისინი, ვინც ძალადობს ოჯახის წევრებზე. აღნიშნული ტიპის მოძალადეებს არ გააჩნიათ ფსიქიკური აშლილობის სიმპტომები, სოციალური უნარებიც დამაკმაყოფილებელ დონეზე აქვთ განვითარებული, ასევე, მათ ახასიათებთ პარტნიორზე დამოკიდებულების მაღალი დონე. ბავშვობაში ისინი იყვნენ ძალადობის მონმეები ან მსხვერპლნი.

**მეორე სახეობა** – ოჯახში ძალადობს, როგორც აგრესიული შეტევების დროს, ასევე, მის გარეშეც. მას, ასევე, ახასიათებს ემოციური არასტაბილურობა და ფსიქიკური

დარღვევები; ვერ შედის სხვა ადამიანებთან კომუნიკაციაში, არ გააჩნია სოციალური უნარების განვითარების დამაკმაყოფილებელი დონე, არ აქვს სინდისის ქენჯნის შეგრძნება.

**მესამე სახეობა** – ოჯახში ძალადობს, როგორც აგრესიული შეტევების დროს, ასევე, მის გარეშე, ხშირად არის ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე ან ფსიქოტროპულ საშუალებებზე დამოკიდებული. ამ ტიპის ადამიანისთვის ძალის გამოყენება პრობლემის მოგვარების მეთოდია.

## მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამა პოლონეთში:

### ვისთვის?

- ადამიანებისთვის, რომლებიც ვერ აკონტროლებენ აგრესიას და სიბრაზეს, იძულებითი ან ნებაყოფლობითი მონაწილეობა ოჯახში მოძალადეთათვის.
- ქალებისა და მამაკაცებისთვის.

### შეზღუდვა

პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე დამოკიდებული პირი, რომელსაც არ გაუვლია შესაბამისი თერაპია, გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირი.

## ხანგრძლივობა - პირობები:

- პროგრამა ითვალისწინებს თერაპევტთან ინდივიდუალური დიაგნოსტიკის ერთსაათიან სესიას, რომლის მიზანია მოტივაციის შემონახვა, სირთულეების, ცხოვრების ისტორიის, რესურსების და სხვ. შესწავლა.
- ჯგუფური მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო სამუშაოები, ტრენინგები – 60 სთ.
- პროგრამის დასამთავრებლად სავალდებულოა შეხვედრების 90%-ში მონაწილეობა და თერაპევტის დადებითი შეფასება.

## ტრენინგები

- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ფსიქოთერაპიის სპეციალობით;
- მოძალადებთან მუშაობის და მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ 100 სთ ტრენინგში მონაწილეობა;
- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრში სამუშაოდ სავალდებულოა 3 წლიანი გამოცდილება.

## თერაპევტის კვალიფიკაცია

- მოძალადესთან მუშაობის შესახებ ტრენინგებში (Duluth, ART, ოჯახი, ოჯახში ძალადობის პრევენცია და ა.შ.) მონაწილეობა;
- მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;
- ინტერპერსონალური უნარები.

## პროგრამის თეორიული საფუძვლები

მოდალადისტოვის მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამა „PARTNER“ განხორციელდა აშშ-ში Duluth-ს პროგრამის საფუძველზე. პროგრამა კონცენტრირდება ძალადობის წარმოშობის წყაროზე, რომელიც შეიძლება იყოს ნასწავლი ან მემკვიდრეობითი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის საშუალებით შესაძლებელია აგრესიულ ქმედებათა შემცირება, ასევე, პატივისცემის გაღვივება ქალთა მიმართ.

აგრესიის ჩანაცვლებითი ტრენინგი “ART” – არის მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავს აგრესიის, სიბრაზის, არაადექვატური ქცევის მქონე პირებთან მუშაობას. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება მონაწილეების ისეთი საბაზისო სოციალური უნარ-ჩვევების შექმნას, როგორებიცაა ემოციების დაძლევა და ზნეობრივი ზრდა. აგრესიის ჩანაცვლებითი ტრენინგი წარმოადგენს შემეცნებით-ბიჰევიორალურ (ქცევით) ჯგუფს. მონაწილის სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე, ხორციელდება უნარების და დადებითი მხარეების სისტემური მოდელირება, რაც გავლენას ახდენს ქცევის ცვლილებაზე.

### პროგრამის ძირითადი მიზანი:

მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს თვითკონტროლის სწავლება და აგრესიული საქციელისგან თავის შეკავება. ხშირ შემთხვევაში მოძალადე არ ცდილობს საკუთარი თავის გაკონტროლებას ან თავის შეკავებას. მოძალადე ცდილობს, გაამართლოს

ძალადობრივი ქმედება. ასევე, მინიმუმადე დაჰყავთ მომხდარზე საკუთარი პასუხისმგებლობის საკითხი. როგორც წესი, ყოველთვის ადანაშაულებენ ძალადობის მსხვერპლს. ხშირად მოძალადის საქციელი კულტურული ფაქტორის გათვალისწინებით პოულობს გამართლებას.

<p><b>მაკორექტირებელ-საგანმანათლებო პროგრამა:</b></p> <p>განათლება ეხება: ძალადობის მექანიზმებს, აგრესიის შედეგებს, ემოციური დაძაბულობისგან გათავისუფლების სტრატეგიას,</p> <p>კორექცია ეხება: სისტემაში ოჯახის ფუნქციონირებას, ოჯახის, ქალის, მამაკაცის, ბავშვის როლს.</p> <p>საგანმანათლებლო ნაწილში განიხილება ძალადობის ფენომენი, ხოლო მაკორექტირებელი ნაწილი მიმართულია არაძალადობრივი უნარ-ჩვევების შექმნაზე, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლებაზე, ასერტიულობაზე, ასევე, დავების კონსტრუქციულად გადაწყვეტაზე და სოციალური მხარდაჭერის გამოყენებაზე.</p>	<p><b>ფსიქოთერაპია</b></p> <p>ეფუძნება ფსიქოლოგიურ ტექნიკას, კერძოდ, ინტერპერსონალური ურთიერთობების საფუძველს. ფსიქოლოგიური მუშაობის ტექნიკის და მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე. იგი ეფუძნება ნებაყოფლობით ურთიერთობებს (თერაპევტი - კლიენტი) და ემსახურება კლიენტის კეთილდღეობას.</p>
---	---

მოძალადე ძალადობის მსხვერპლის გარეშე არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს მსხვერპლი მოძალადის გარეშე

## მაკორექტირებელ-საგანმანათლებლო პროგრამის ეტაპები:

### 1. დიაგნოზი – დიაგნოსტიკური კითხვარი, ინტერვიუ-შეფასება:

- მოტივაცია — გარე თუ შიდა?
- ვეკითხებით ცხოვრების და განათლების შესახებ,
- ვერიფიკაცია: დამოკიდებულების, ფსიქიკური დაავადებების, წამლების შესახებ ისტორია,
  - მომხდარზე პასუხისმგებლობის გრძნობის გამოკვლევა,
  - ვეკითხებით მოლოდინის შესახებ,
  - ვეძებთ რესურსებს.

### 2. ტრენინგები:

- მონაწილე ავსებს ანკეტას,
- ხელს აწერს მონიტორინგის განხორციელების თანხმობას,
- კონტრაქტი.

### თემატური ბლოკები:

**ა) განათლება: სიბრაზე-აგრესია-ძალადობა – სქემა, ძალადობის ფორმები, ძალადობის ციკლი, ძალადობის შედეგი**

მუშაობის აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია ძალადობის ციკლის წარდგენა, ვინაიდან, მოძალადე ძალადობას აგრე-

სიად აღიქვამს და ვერ ხედავს ძალადობის უწყვეტ დამოკიდებულებას. ზემოხსენებული მექანიზმი გვაძლევს აგრესიის ეფექტური პრევენციის საშუალებას.

## **ბ) ემოციები, კერძოდ – სიბრაზე**

მნიშვნელოვანია, კლიენტს ვასწავლოთ საკუთარ გადწყვეტილებაზე, გეგმებზე, თვითკონტროლზე პასუხისმგებლობის აღება, რათა მან აგრესიის წინმსწრები ნიშნების დროულად შენიშვნა შეძლოს.

## **გ) კომუნიკაცია**

პროგრამის ფარგლებში, კლიენტს აქვს შესაძლებლობა, მიმოიხილოს ინტერპერსონალური კომუნიკაციის სისტემა, გრძნობების ამოცნობა, ინტიმურობის გამოხატვის უნარი, ემპათიურობა, მოლაპარაკებების და კომპრომისის უნარი, ასევე, კონფლიქტების გადაწყვეტა. ამასთანავე, კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა, შეიმუშაოს სხვების მიმართ კონსტრუქციული დამოკიდებულება და ისწავლოს ოჯახის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის აღება.

## **დ) სიბრაზის კონტროლის ტრენინგი**

პროგრამის მონაწილეები გადიან სიბრაზის კონტროლის ტრენინგში (“ART” პროგრამა – აგრესიის ჩანაცვ-

ლებითი ტრენინგი). სიბრაზის კონტროლის ტრენინგის ნაწილის მიხედვით, კლიენტი განსაზღვრავს საკუთარ სიბრაზეს, თერაპევტის დახმარებით აღწერს სიბრაზის ნიშნებს, მოგვიანებით კი – დამაწყნარებელ ქმედებას (რედუქტორები) და აფირმაციებს (მონიტის) – აგრესიის გარეშე პრობლემის გადაწყვეტას. ტრენინგი, ასევე, მოიცავს სავარჯიშოებს აგრესიული, სამანიპულაციო, პასიური და აქტიური კომუნიკაციის განსაზღვრის მიზნით. FUKOZ-ის კომუნიკაცია გვაძლევს სხვადასხვა სოციალური უნარების განვითარების შესაძლებლობას (უნარ-ჩვევების არჩევა დამოკიდებულია კლიენტის მდგომარეობის სირთულეზე).

## ე) სოციალური უნარების ტრენინგი

მეცადინეობა მონაწილეებს საშუალებას მისცემს, საკუთარ ქმედებებსა და გრძნობებზე აიღონ პასუხისმგებლობა, ასევე, გაითავისონ, რომ უფლებებისა და მოვალეობების გადანაწილებისას, ოჯახში სამართლიანობა და თანასწორობა (პარტნიორობა) უნდა დამკვიდრდეს.

ზემოთ აღნიშნული კლიენტს მისცემს საშუალებას, იმუშაოს საკუთარ თავზე პარტნიორული ურთიერთობების, პოზიტიური სტანდარტებისა და ღირებულებების გასავითარებლად.

## ვ) მრწამსი

აღნიშნულ ეტაპზე მონაწილეები განიხილავენ ძალადობას სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. გამოცდილების გაზიარება და საქმიანობის მაგალითები ცვლილებებზე ფიქრის შესაძლებლობას გვაძლევს.

მრწამსის მაგალითებია: ოჯახში ქალის, მამაკაცის, ბავშვის, ბებუის და ბაბუის როლი, ძალაუფლება, კონტროლი, ოჯახის სისტემაში თვითდამკვიდრება, კოალიციები, ოჯახის წევრები, ოჯახში არსებული ურთიერთობები, როგორც მემკვიდრეობის ნაწილი.

## ზ) კომპრომისი, პატივისცემა, დავის მოგვარება სამართლიანობის პრინციპით – მორალური დასკვნის ტრენინგი

ღირებულების სისტემასთან დაკავშირებული ამოცანები და დისკუსიები. ჩხუბის სამართლიანად მოგვარების პრინციპის და დავის უპირატესობების შესწავლა. კონფლიქტის და კომპრომისის სწავლა.

## თ) ძალადობრივი ქცევის ეტიოლოგია – საკუთარი გამოცდილება

მნიშვნელოვანია, რომ კლიენტმა იცოდეს ძალადობის წყარო (კერძოდ: 1. სოციალურ-კულტურული ე.წ. საოჯახო სისტემა, კულტურული ძალადობის მაგალითი, ძალადობა და გენდერული სტერეოტიპების დაკავშირება მაგ.:

მამაკაცსა და ქალს შორის, მშობლებსა და ბავშვს შორის ურთიერთობა; 2. ფსიქოლოგიური ანუ ემოციების არადამაკმაყოფილებელი გაკონტროლება, ემოციური აფეთქება, იმედგაცრუება, სტრესი, პიროვნულობის დარღვევა, საკუთარი ძალაუფლების რწმენა, თანაგრძნობის არქონა – ზემოჩამოთვლილი ეხება ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლს ან მოწმეს; 3. ფსიქოაქტიური ნივთიერებები: ე.წ. ალკოჰოლი, ნარკოტიკები – ხელს უწყობენ თვითკონტროლის დაკარგვას. ზემოხსენებულ შემთხვევაში ვიყენებთ ოჯახების ისტორიების ამსახველ მასალას, რომელშიც წარმოდგენილია ძალადობის, დამოკიდებულების, თანადამოკიდებულობის მექანიზმები, ოჯახის სისტემაში ბავშვის დესტრუქციული ფორმირების ეტიოლოგია.

### ი) ცვლილებებზე მუშაობა

ამოცანების დასახვა და მათ გადასაჭრელად საჭირო ნაბიჯების გადადგმა ცხოვრებისეული ცვლილებების განხორციელების მიზნით.

### კ) რესურსებზე მუშაობა

კლიენტის დადებით რესურსებზე, პარტნიორულ ურთიერთობებზე, სტანდარტებსა და ღირებულებებზე მუშაობა.

### ლ) საბოლოო გამოკითხვის ანკეტა, ჯგუფური პროცესის დახურვა

## განათლება საჭირო ფაქტორს წარმოადგენს შესრულებული ქმედების გასააზრებლად:

სიბრაზის სქემა — აგრესია — ძალადობა

- ძალადობის სახეობები

### ძალადობის ფორმები ბრაუნის, ჰერბერტის მიხედვით (1999)

**აქტიური** – ფსიქოლოგიური (შეურაცხყოფა, დამცირება, ემოციური შეურაცხყოფა), ეკონომიკური (ფინანსური საშუალებების ჩამორთმევა), სექსუალური (ინცესტი, გაუპატიურება), ფიზიკური.

**პასიური** – უგულებელყოფა (ჯანმრთელობაზე ზრუნვის ნაკლებობა, უპატივცემლობა, გრძნობების, სათანადო ზრუნვის ნაკლებობა).

### ძალადობის ფორმები მაზურის მიხედვით (2002)

**ფიზიკური** – ფიზიკური შეურაცხყოფა

**ფსიქიკური** – დამცირება, დამორჩილება,

**სექსუალური** – სექსუალური ექსპლუატაცია, გაუპატიურება

**ფიზიკური უგულვებელყოფა** – სათანადო მოვლის და სა-  
მედიცინო დახმარების ნაკლებობა,

**ფსიქიკური უგულვებელყოფა** – გულგრილობა, ემოციური  
საჭიროებების დაუკმაყოფილობა,

**ზედმეტი მზრუნველობა** – პიროვნული განვითარების  
შეზღუდვა

## ძალადობის ფორმები მელბრუდის მიხედვით (1996)

**სპონტანური ძალადობა (ცხელი)** — სიბრაზით დამუხტ-  
ვა, რისხვა, გაღიზიანება, მძვინვარება, მას თან ახლავს ძა-  
ლადობრივი და იმპულსური ქცევა.

**ინსტრუმენტული ძალადობა (ცივი)** — ხორციელდება  
კონკრეტული სცენარის მიხედვით, რომელიც ხშირად შუ-  
რისძიებისკენ არის მიმართული, რაც მოძალადის წარმო-  
სახვის პროდუქტს წარმოადგენს, მას გააჩნია მიზანმიმარ-  
თული ქმედებები, ბავშვების შემთხვევაში — მკაცრი და  
რესტრუქციული მიდგომა, დასჯაც.

**ანა ვოლოშჩუკი (პოლონეთი) — ფსიქოლოგი,  
სისტემური ფსიქოთერაპევტი, ძალადობის ჩამდენი  
პირებისთვის საკორექციო-საგანმანათლებლო  
პროგრამების წამყვანი**

რუსუდან პაჭკორია

## მოძალადე და მასთან დაპყრობილი საპარტლავრივი რეჟიმიები საქართველოში

(საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მომხილვა)

### მოძალადის ცნება

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის /25/05/2006/ მიხედვით,

**მოძალადე** არის ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას. / მუხლი 4. „თ“ ქვეპუნქტი/

ოჯახურ წრეში ძალადობის ჩამდენი შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი, პირთა იმ წრიდან, რომელიც ჩამოთვლილია კანონში: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე,

რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას; / მუხლი 4. „ზ“ ქვეპუნქტი/.

ჩამოთვლილი პირები ოჯახის წევრებად ითვლებიან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის.

## ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები

ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი, ასევე სისხლისსამართლებრივი მექანიზმები.

- სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი ორდერის ან/და დამცავი ორდერის გამოცემით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევის ხასიათი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლო-

ბას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად გამოიციემა შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერი.

**შემაკავებელი ორდერი** არის **პოლიციის** უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

## შემაკავებელ ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდების საკითხს, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;

ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებას და მათ თავშესაფარში მოთავსების საკითხებს;

გ) მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

დ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების საკითხებს;

ე) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ვ) მოძალადისათვის ამ ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შექმნის ან მის შექმნაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს;

ზ) მოძალადის გაფრთხილებას ამ ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) სხვა საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით.

## განმეორებითი ძალადობის რისკების შეფასება შემაკავებელი ორდერის გამოცემისას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამდებობის პირები შემაკავებელი ორდერის ოქმის კითხვარების საშუალებით ახორციელებენ განმეორებითი ძალადობის რისკების სიმძიმის შეფასებას;

განმეორებითი ძალადობის რისკის სიმძიმე შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი. აღმიშნულის განსაზღ-

ღვრა ხდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებული კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე.

განმეორებითი ძალადობის **მაღალი რისკი** სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 5 ქულა;

განმეორებითი ძალადობის **საშუალო რისკი** სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვებზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 3 ქულა;

განმეორებითი ძალადობის **დაბალი რისკი** სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ დადებითი პასუხი ფიქსირდება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ მხოლოდ ისეთ კითხვებზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 1 ქულა.

როცა სახეზეა განმეორებითი ძალადობის მაღალი ან საშუალო რისკი, შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვის ვადით, ხოლო როცა სახეზეა დაბალი რისკი, ორდერი შეიძლება გამოცემული იქნეს უფრო მცირე ვადითაც. /საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N81; 2018 წლის 13 ივლისი. „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“/.

**დამცავი ორდერი** არის პირველი ინსტანციის **სასამართლოს** (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

## დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

- ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადის-აგან დაცვის ზომებს;
- ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადის-აგან გარიდების და მათ თავშესაფარში მოთავსების საკითხებს;
- გ) მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან გარიდების საკითხს;
- დ) მოძალადის ვალდებულებას — არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური არსებობისათვის;
- ე) მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;
- ვ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;
- ზ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;
- თ) მოძალადისათვის დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შექენის ან მის შექენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული ან/

და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტა-  
ტო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს;

ი) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესა-  
ფარში ყოფნის და სხვა, გონივრული ხარჯების ანაზღაურე-  
ბის საკითხებს;

კ) მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექ-  
ციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებასთან  
დაკავშირებულ საკითხებს;

ლ) მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულები-  
სა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო  
სწავლების კურსის გავლის საკითხს;

მ) მოძალადის გაფრთხილებას დამცავი ორდერით გათ-  
ვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში  
საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხ-  
ისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ნ) სხვა საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებე-  
ლია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი მო-  
ქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს  
წყვეტს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის  
გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდ-  
ში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფ-  
რთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

## პასუხისმგებლობა შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის

შემაკავებელი და დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მოძალადეს ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც განისაზღვრება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. /საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი/ მუხლი 381<sup>1</sup>. პირველი ნაწილი/.

- **სისხლისსამართლებრივი** მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, **ოჯახური დანაშაული ნიშნავს** ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133<sup>1</sup>, 133<sup>2</sup>, 137-ე, 141-ე, 143-ე, 144-ე, 144<sup>3</sup>, 149-ე, 151 1, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე, 255<sup>1</sup>, 381<sup>1</sup> და 381<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, მე-11<sup>1</sup> მუხლზე მითითებით. /მუხლი 11<sup>1</sup>. პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის/.

თუ ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები ჩადენილია ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, სახეზეა ოჯახური დანაშაული:

მუხლი 109. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში; მუხლი 115. თვითმკვლელობამდე მიყვანა; მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება; მუხლი 118. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება; მუხლი 120. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება; მუხლი 126 ძალადობა; მუხლი 133<sup>1</sup>. სტერილიზაცია თანხმობის გარეშე; მუხლი 133<sup>2</sup>. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება; მუხლი 137. გაუპატიურება; მუხლი 141. გარყვნილი ქმედება; მუხლი 143. თავისუფლების უკანონო აღკვეთა; მუხლი 144. მძევლად ხელში ჩაგდება; მუხლი 144<sup>3</sup>. დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; მუხლი 149. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება ან დაკავება; მუხლი 151<sup>1</sup>. ადევნება; მუხლი 160. ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა; მუხლი 171. არასრულწლოვნის ჩაბმა ანტი-საზოგადოებრივ ქმედებაში; მუხლი 187. ნივთის დაზიანება ან განადგურება; მუხლი 253. პროსტიტუციაში ჩაბმა; მუხლი 255<sup>1</sup>. არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში; მუხლი 381<sup>1</sup>. შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალუ-

## რი მუშაკის გადანაცვებისადმი დაუმორჩილებლობა; მუხლი 3812. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა.

გარდა ზემოჩამოთვლილი მუხლებისა, ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 126.<sup>1</sup>

### მუხლი 126<sup>1</sup>. ოჯახში ძალადობა

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი,

- ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის, —

- ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვა-

დით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

## მოძალადე და არასრულწლოვანი მსხვერპლი

მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან ნებისმიერი სხვა მოძალადისაგან არასრულწლოვანზე ძალადობის დროს ხდება არასრულწლოვნის **განცალკევება** მოძალადისგან, თუ ეს განსაზღვრულია:

1. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერით;
2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში — სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით;
3. სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ორდერით, ან დროებითი ღონისძიების სახით - დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა არასრულწლოვანზე ძალადობის კვალი.

კანონი განმარტავს, რომ „არასრულწლოვნის მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან არასრულწლოვანთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები ნებისმიერი სხვა პირისაგან **განცალკევება არის უკიდურესი ზომა**, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც გამოყენებულ იქნა ყველა სხვა, ნაკლებად მკაცრი

ზომა (მათ შორის, გასაუბრება და გაფრთხილება) და ამ ზომებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ან როდესაც შექმნილ ვითარებაში ამკარაა, რომ ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. არასრულწლოვნის აზრი იმის შესახებ, თუ სად უნდა განთავსდეს იგი, გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით და ნებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. / ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 14/

**თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სავარაუდო მოძალადეა** ან მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი მოძალადე ოჯახის წევრს, არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირსა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, **მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება, იყოს არასრულწლოვნის წარმომადგენელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში, შეჩერებულად ითვლება სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.** / საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი მუხლი 21<sup>12</sup>/.

ოჯახურ დანაშაულზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე ან/და ოჯახში ძალადობაზე **სისხლის სამართალწარმოე-**

ბის ყველა ეტაპზე, მათ შორის, დაკითხვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის საუკეთესო ინტერესები, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ორდერის ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით. /ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 17. მე-3 ნაწილი/.

## მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები გულისხმობს მოძალადის მიერ ძალადობრივი ქცევის შეცვლისკენ და მისი ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ძალადობის განმეორების თავიდან აცილება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოძალადის მიერ

ძალადობრივ ქცევასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის აღიარება, აგრეთვე მის დამოკიდებულებებსა და ქცევაში მიღწეული დადებითი ცვლილებების შენარჩუნება. მათ მის-აღწევად მნიშვნელოვანია მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. /ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 20./

**ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია** (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვარის №55 განკარგულებით )

მოძალადეთა რეაბილიტაციის სფეროში კონცეფციის მიზანია მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება, მათი დანერგვისა და გატარების ხელშეწყობა, რაც, საბოლოო ჯამში, ზემოქმედებას მოახდენს ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათი ძალადობისაგან თავისუფალი ცხოვრების უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო იზიარებს იმ მიდგომას, რომ **ძალადობა ოჯახში მიუღებელია და მოძალადეები პასუხისმგებელნი არიან მათ მიერ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე**; ასევე მიიჩნევს, რომ შესამუშავებელია მექანიზმები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და ოჯახის წევრთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. ეს მიიღწევა **მოძალადეთა ძალადობრივი ქცევის აღკვეთით და შეცვლით**, ძალადობრივ ქცევასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლო-

ბის აღიარებით, ასევე მოძალადეთა ქცევასა და დამოკიდებულებებში მიღწეული პოზიტიური ცვლილებების შენარჩუნებით.

- ✓ ოჯახური დანაშაულის ჩამდენი იმ პირებისთვის, რომლებსაც სასჯელის სახით შეფარდებული აქვთ **თავისუფლების შეზღუდვა** ან/და რომელთა მიმართაც გამოყენებულია **პირობითი მსჯავრი**, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის ორგანიზება ევალება **პრობაციის ეროვნული სააგენტოს**. პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების (მემორანდუმის) საფუძველზე სწავლების კურსი შეიძლება განახორციელოს სათანადო გამოცდილების (კომპეტენციის) მქონე სოციალურმა დაწესებულებამ, არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა ან შესაბამისი განათლების მქონე პირმა. /საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ. მუხლი 40<sup>1</sup>/.
- ✓ ოჯახური დანაშაულის ჩამდენი იმ პირების რეაბილიტაციის მიზნით, რომელთაც სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით შეეფარდებული აქვთ **თავისუფლების აღკვეთა** და იმყოფებიან პენიტენციურ დაწესებულებაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელ-

მნიფო საქვეუნყებო დანესებულეების **სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ორგანიზებით უტარდებათ ძალადობრივი დამოკიდებულეებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსები. აღნიშნული კურსების ორგანიზებას სამსახური უზრუნველყოფს სახელმნიფო უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ და შესაბამის სფეროში საქმიანობის გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. /საქართველოს პატიმრობის კოდექსი. მუხლი 118. 7/

მნიშვნელოვანია, რომ სახელმნიფო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების გატარების პარალელურად უზრუნველყოფს მოძალადეთა სავალდებულო რეაბილიტაციის მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას და აცნობიერებს, რომ მოძალადეთა რეაბილიტაციის ეფექტიანი სახელმნიფო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და პარტნიორობის საფუძველზე.

**რუსუდან პაჭკორია – იურისტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ასოციაციის სასწავლო ცენტრის ტრენერი, უფლებადამცველი**

## წყაროები:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

საქართველოს კანონი/ ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

საქართველოს კანონი საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.

საქართველოს პატიმრობის კოდექსი.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვარის № 55 განკარგულება „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N81; 2018 წლის 13 ივლისი. „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“.

ელისო ამირეჯიბი

## ძალადობრივი ქვევის გამოწვევი რისა ფაქტორები

2017 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა (საია) და ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის (დეექ) პროექტის „ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში ძალადობის გამომწვევი რისკ-ფაქტორების ანალიზის მიზნით მოხდა ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირთა შემთხვევების შესწავლა და გამოიკა ნიგნი, სადაც ძალადობრივი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ მამაკაცების ისტორიებია ასახული.

ეს კვლევა ექსპლორატორული ხასიათისაა; კვლევის მიზანი ძალადობრივი ქცევის ჩადენის რისკფაქტორების კვლევაა.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. მისი მეშვეობით ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ 16 მონაწილესთან, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ ძალადობრივი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

## შედეგები

### ინდივიდუალური ფაქტორები

კვლევის ფარგლებში ჩაღრმავებული ინტერვიუ განხორციელდა 22-64 წლამდე ასაკის 16 მამაკაცთან. მონაწილეთა 87%-ს აქვს საშუალო განათლება, მხოლოდ ერთ მონაწილეს აქვს უმაღლესი განათლება. 31%-მა მიიღო პროფესიული განათლება და შეისწავლა ხელობა.

### პირველადი ოჯახი:

მონაწილეების 43% ბავშვობაში შესწრებია მშობლებს შორის ფიზიკურ ძალადობას და თვითონაც იყო ძალადობის მსხვერპლი. მათი თქმით, მშობლებს შორის ხშირი იყო სიცხვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური ძალადობა.

მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობა დედის მხრიდან დისციპლინის განმტკიცებისა და ცუდი საქციელისთვის დასჯის მეთოდს წარმოადგენდა, ხოლო მამის მხრიდან, უმეტესად, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას უკავშირდებოდა.

ოჯახურ დინამიკაზე საუბრისას, გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ მონაწილეს ხშირად უწევდა შრომა, ბავშვობის ასაკიდან ჩართული იყო ოჯახურ საქმიანობასა და მეურნეობაში; ასევე, აღინიშნა, რომ ოჯახში დედა, როგორც წესი, დატვირთული და გადაღლილი იყო, ხოლო მამის მხრიდან ადგილი ჰქონდა უგულვებლყოფასა და ემოციურ დისტანცირებას.

**ნოდარი (49 წლის):** „მამა დედას სხვადასხვა მიზეზით ხშირად უბრაზდებოდა და ეჩხუბებოდა. დედა მას სახლის საქმეებში დახმარებას სთხოვდა. მამა არ ეხმარებოდა და შენიშვნებს აძლევდა, ითხოვდა, ჩვენთვის უფრო მეტად მოექცია ყურადღება, მაგალითად, სწავლაში რომ არ ჩამოვრჩენილიყავით. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, თვითონაც მეტი დრო დაეთმო ჩვენთვის. მინახავს, დედას როგორ სცემდა. ეს უფრო შაბათ-კვირას ხდებოდა, როცა მამას მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა და, იმის მაგივრად, რომ ეს დღეები შვილებთან გაეტარებინა, სახლში ნასვამი მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ დედა სულ ჩვენთან იყო, საერთო ჯამში, გვაკლდა მშობლების სითბო. მამას შეეძლო, დრო გამოენახა და ჩვენთვის მეტი ყურადღება დაეთმო, ხოლო დედას, როგორც ახლა ვხვდები, არც ნერვები ჰყოფნიდა და არც დრო იმისთვის, რომ ჩვენთან უფრო კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ჩვენი დასჯა უფრო მახსოვს, ვიდრე კარგი ქცევისთვის ნახალისება.“

## ტრავმული გამოცდილებები, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება:

მონაწილეთა 56%-მა აღნიშნა, რომ ცხოვრების მანძილზე, ოჯახური ძალადობის გარდა, სხვა ტრავმული შემთხვევებიც გამოუცდია, როგორცაა: დის/ძმის გარდაცვალება უბედური შემთხვევის, ოჯახის წევრის მიერ მკვლელობის ან მძიმე

ფიზიკური დაავადების შედეგად; მშობლების და ოჯახის წევრების უეცარი გარდაცვალება; შვილის გარდაცვალება დაბადებისას; მცირეწლოვანი შვილის გარდაცვალება ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და სხვა.

**ოთარი (52 წლის):** „27 წლის ვიყავი, როდესაც ჩვენს პირველ შვილს მანქანა დაეჯახა. მძლოლი გაიქცა და ბავშვი მიატოვა. შვილი დამეღუპა. მკვლელის ძებნა დავინწყე. 7 წელი ვეძებდი. ხან სად მოვხვდი, ხან – სად. უკვე ნერვები მლატობდა. პირველი ქურდობაც მაგ დროს ჩავიდინე. მერე 37 წლის და დამეღუპა. ძალიან განვიცადე.“

როგორც ადრეულ, ისე ზრდასრულ ასაკში ტრავმული გამოცდილებები ხშირია თავისუფლებაალკვეთილი პირების პოპულაციაში, რაც დაკავშირებულია გუნება-განწყობის აშლილობების განვითარების რისკთან, სხვა კომორბიდულ აშლილობებთან (როგორცაა ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად მოხმარება), ინტერპერსონალურ პრობლემებთან, სხვების მიმართ აგრესიულ ქცევასთან, თვითდესტრუქციულ და სუიციდურ ქცევასთან (Wolff, Jing, 2012).

**ლაშა (42 წლის):** „დაბადებიდან პრობლემები მქონდა. დედა უკრაინელი მყავდა, რომელმაც, როგორც ღორი, ისე გამყიდა. 14 წლის ვიყავი, ნათესავემა სიკვდილის წინ რომ მითხრა, აყვანილი ხარო. ძალიან გავბრაზდი. ჩემს ადგილზე, ნებისმიერი გაბრაზდებოდა. ჩემებმა ყველაფერი მი-

ამბეს. მითხრეს, ვინც იყო დედა. მამაზე არაფერი იცოდნენ. როცა გავიზარდე, ჩავაკითხე დედაჩემს. მკვდარი დამხვდა. მოზარდობიდან დავინწყე წამლის მოხმარება. ვიკეთებდი სამეგობრო წრეში, ქუჩაში. ეს თითქოს მავსებდა. როცა არ არის ბედნიერება, ცდილობ, რალაცნაირად შეავსო.“

მონაწილეთა უმეტესობა მოიხმარდა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს. 18%-მა აღნიშნა, რომ დამოკიდებული იყო ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე (ალკოჰოლი, ნარკოტიკი); მონაწილეთა ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა წარსულში ალკოჰოლის მოხმარების შემდგომ ფსიქოზური ეპიზოდის არსებობა, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, იმპულსური ქცევა, აგრესიის კონტროლის სირთულეები, ჩვილები მომატებული შფოთვის შესახებ, თვითდაზიანებები, სუიციდური იდეების არსებობა დაწესებულებაში მოხვედრამდე და სუიციდის მცდელობები დანაშაულის ჩადენის შემდგომ, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

მონაწილეთა 56% წარსულში ნასამართლევა, 43%-ს აქვს ერთზე მეტი ნასამართლობა, 3 მათგანი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოხვდა 18 წლამდე.

**მამუკა (32 წლის):** „ოჯახი 1986 წელს დავკარგე. მშობლები, ბებია და ბაბუა ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპნენ, როდესაც მოსკოვიდან ერთად მოფრინავდნენ. მე და ჩემი ძმა ობლად დავრჩით. მეზობლებმა ბავშვთა სახლში ჩაგვაბარეს. იქ ვიზრდებოდი 14 წლამდე. 14 წლიდან კი სულ ციხეში ვარ. 12-ჯერ ვარ ნასამართლევი.“

## სიტუაციური ფაქტორები: ქორწინება

მონაწილეთა 87% იყო ქორწინებაში, ჰყავთ შვილები. დაოჯახების ასაკი მერყეობს 15-35 წლამდე (საშუალო ასაკი: 22 წელი).

მონაწილეთა 81%-მა აღნიშნა, რომ აქვს ოჯახური პრობლემები. ოჯახში კონფლიქტის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა უმუშევრობა, ფინანსური სირთულეები, ფინანსების გადანაწილებასთან დაკავშირებული უთანხმოებები, ფლანგვა/ აზარტული თამაშები და სხვა. მონაწილეთა 62% იყო დასაქმებული (თვითდასაქმებული, დასაქმებული ხელობით), ხოლო 12%-ს არასოდეს უმუშავია. იმ მონაწილეთაგან, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ, მხოლოდ 18%-მა აღნიშნა, რომ ოჯახში, ფინანსური თვალსაზრისით, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აქვს.

**ლუკა (48 წლის):** „ოჯახის შექმნიდან ჩვენს ურთიერთობაში მალევე დაიწყო ნვრილ-ნვრილი კონფლიქტები. სისტემატურად მხოლოდ მე ვმუშაობდი – ხან მინაზე, ხან ხილს ვკრეფდი, ხან მანქანის ნაწილებს ვყიდდი. დილიდან ღამემდე თავდაუზოგავად ვშრომობდი იმისთვის, რომ დღის ბოლოს ოჯახში პურის ფული შემეტანა. ოჯახის ფინანსებსაც თავად განვკარგავდი. მე თავად ვწყვეტიდი, თუ რა და როდის გვეყიდა. ამიტომ ჩემს გაღიზიანებას იწვევდა, როდესაც ცოლი არ მემორჩილებოდა. მაგალითად: ბავშვებისთვის დამოუკიდებლად ყიდულობდა ტანსაცმელს, ხშირი ურთიერთობა ჰქონდა დედასთან და დასთან, რომლებიც „ცუდ ზეგავლენას ახდენენ“ მასზე.“

მონაწილეების მხრიდან ოჯახში პრობლემების მიზეზად ასევე დასახელდა: კონფლიქტი ქალის ოჯახის წევრებთან, მათი მხრიდან წყვილის ურთიერთობაში ჩარევა; მამაკაცის მხრიდან ლალატი; ქალის მხრიდან დაუმორჩილებლობა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება; აზრთა სხვადასხვაობა შვილების აღზრდასა და ოჯახურ როლებზე.

**საპიბი ( 51 წლის):** „20 წელზე მეტი ვიცხოვრეთ ერთად. ბოლო ორი წელი რაღაც სხვანაირად იქცეოდა. ადრე რასაც ვიტყოდი, არასდროს არაფერს აპროტესტებდა. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, თურქეთში წავიდა სამუშაოდ. ადრე სტუმრებთან არც კი გამოდიოდა, რცხვენოდა. ბოლოს კი, რიდი საერთოდ დაკარგა. სხვების თანდასწრებით ხმამაღლა იცინოდა, გამომწვევად იცვამდა, თავს არ აკონტროლებდა.“

თუ მამაკაცი მიიჩნევს, რომ ქალი ვერ ასრულებს მის როლს, ან გადააბიჯა მისთვის საზოგადოების ან მამაკაცის მიერ დაწესებულ საზღვრებს, ამაზე პასუხი შესაძლოა იყოს ძალადობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მისი დამორჩილება, შემდგომში ასეთი საქციელის განმეორებით ჩადენის აღბათობის შემცირება, დასჯა და დისციპლინის დამყარება (Heise, Garcia-Moreno, 2002).

**ლუკა (48 წლის):** „სამსახურის დასრულების შემდეგ, მე, ჩემი ქვისლი და ჩემი სიდედრი სახლში წამოვედით. მგზავრობის საფასური, ორი ლარი, მეც და ჩემს ქვისლსაც სიდედრმა

გადაგვიხდა. სახლში მისვლისას, კაცებმა ლუდის დალევა გადავწყვიტეთ. ეს როგორც კი გაიგო ჩემი ცოლის დამ, მეც და მის ქმარსაც აგრესიული ტონით მგზავრობის საფასურის გადახდა მოგვთხოვა. გავბრაზდი, უფრო იმაზე, რომ ქმარმა მას „საკადრისი“ პასუხი არ გასცა. ცოლის დას ვუყვირე, მერე ცოლსაც მივდექი და ორჯერ ჩავარტყი მუშტი. საპატრულო პოლიცია ცოლის დამ გამოიძახა, პოლიციას სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი მოჰყვა და ჩემი მეუღლე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩემ მიმართ კი, შემაკავებელი ორდერი გამოიწერეს.“

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ხშირად წინ უსწრებს ქალის მიმართ ძალადობას. მონაწილეთა 56%-მა აღიარა თანაცხოვრებისას პარტნიორზე ძალადობის ფაქტი. მათი თქმით, პარტნიორთან ოჯახური თანაცხოვრების მანძილზე ადგილი ჰქონია: ხმის აწევას, ყვირილს, შეურაცხყოფას, ხელის კვრას, ნივთების სროლას, ხელის გარტყმას, მუშტის დარტყმას, ცემას, სიცოცხლის მოსპობის მუქარას, ასევე, ოჯახის გარეთ ურთიერთობების, გადანყვეტილებებისა და ქცევის კონტროლს.

## დანაშაული:

კვლევის მონაწილეები სასჯელს იხდიდნენ ძალადობრივი დანაშაულისთვის (სსკ-ის 109-ე და 126-ე პრიმა მუხლი). მათი უმრავლესობა მეუღლის მიმართ ფიზიკური ძალადობის ან კონფლიქტის საფუძველზე იყო დაკავებული. რამ-

დენიმე მათგანი სასჯელს იხდიდა მშობლების/შვილების მიმართ ძალადობის გამო, ხოლო ოთხი მონაწილე – მკვლელობისთვის (მათგან სამი – ცოლის/პარტნიორის, ხოლო ერთი – ოჯახის წევრის მკვლელობისთვის).

მონაწილეთა 68% დანაშაულის ჩადენისას იყო ფსიქოპათიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ.

**მამუკა (32 წლის):** „ბოლო პერიოდში ბევრს ვსვამდი, ხშირად ვჩხუბობდი. ბოლოს ისე გავაფრინე ჩხუბის დროს, ოთხი ნეკნი ჩავუმტვრიე (ცოლს). დოზაზე მეტი, 2 ლიტრი არაყი მიქონდა დალეული და იმპულსურად ვმოქმედებდი. ყოველთვის ალკოჰოლი იყო ჩემი წონასწორობიდან გამოსვლის მიზეზი.“

ჩადენილი დანაშაულის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მონაწილეთა ნაწილი განიცდის ჩადენილ ქმედებას, ნაწილი კი, მომხდარ მოვლენაზე პასუხისმგებლობას ნაწილობრივ ირიდებს, აკისრებს მსხვერპლს ან გარემო ფაქტორებს: „ვნანობ რაც ჩავიდინე, თუმცა, მომხდარში ცოლსაც ვადანაშაულებ“; „ეს არ მოხდებოდა მეტი ტვინი რომ ჰქონოდა თავში“; „მას ჩემი რჩევა უნდა გაეთვალისწინებინა და დის ოჯახისგან თავი შორს დაეჭირა.“

გარემო ფაქტორები, რომლებიც დასახელდა მონაწილეთა მხრიდან, შემდეგია: პროვოცირება მეუღლის ოჯახის წევრების მიერ, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ალკოჰოლის მოხმარება და სხვა.

**გრიზა (63 წლის):** „ცოლის მკვლელობისთვის ვიხდი სასჯელს. არ უნდა მოეცათ ამდენი. ლოთი ვიყავი, იცოდნენ. სოფელში ყველა სვამს. მეც ვსვამდი და მერე რაღაცები მეჩვენებოდა.“

რამდენიმე ინტერვიუში ასევე დაფიქსირდა ჩადენილი ქმედების, მიყენებული ემოციური თუ ფიზიკური ზიანის მინიზაცია. ამის მაგალითია კონფლიქტი, რომელიც ფიზიკურ დაზიანებაში გადაიზარდა, რადგან შვილი არ დაემორჩილა მამას.

**თემური (64 წლის):** „2010 წელს ქალიშვილს ვეჩხუბე ... ისეთ მეგობართან წავიდა, ვისთანაც არ უნდა წასულიყო. კონფლიქტის დროს ჩემი შვილი დაიჭრა. მეუღლე გადაეფარა და მანაც მიიღო დაზიანება. ბევრი არაფერი, უბრალო ნაკანრი იყო, მაგრამ მაინც მომისაჯეს.“

## საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორები:

ძალადობრივი ქმედების გამართლება ხშირად საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული რწმენების და კონკრეტული სოციალური ნორმების შედეგია. ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა მონაწილეთა შეხედულებები და დამოკიდებულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

აღინიშნა, რომ მამაკაცი პრივილეგირებული და სოციალურად უპირატესია, რადგან „...მაინც გვარის გამგრძე-

ლებელია; კაცს თავისი ადგილი აქვს, გოგოს თავისი; კაცი ოჯახში შემომტანი უნდა იყოს; ქალსა და კაცს შორის თანასწორობა ვერ იქნება“. შესაბამისად მიიჩნევა, რომ მამაკაცის შეხედულებები, სურვილები, საჭიროებები და უფლებები სხვა პირის უფლებებზე, საჭიროებებსა თუ სურვილებზე უპირატესია და მათი დაუკმაყოფილებლობა იწვევს მწვავე ფრუსტრაციას და აგრესიას.

კონფლიქტი ან ოჯახში ძალადობა მიიჩნევა ოჯახის პირად საქმედ და არა – სამართალდარღვევად ან დანაშაულად.

**დათო (28 წლის):** „ჩვენს კონფლიქტში არავინ არასდროს ჩარეულა, მაგას ვინ გაბედავდა? ჩემს ოჯახში რა უნდა პოლიციას და მეზობელს?“

მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალმა უნდა მოითმინოს, გაგებით მოეკიდოს ძალადობას და შეინარჩუნოს ოჯახი, ხოლო ოჯახის დანგრევა მიუღებელი და სამარცხვინოა.

**გრიშა (63 წლის):** „ჩემი გოგო ქმარს რომ გასცილდა, სახლში არ შემოვუშვი. სად წავიდა? სად და ჯანდაბაში! არ ვიცი! იცოდა, რომ არ უნდა მოსულიყო. ხან ბიძასთან ეგდო და ხან სად. არ მაინტერესებდა.“

ასევე, მონაწილეთა შეხედულებებზე დაყრდნობით, ქალის გადაწყვეტილება, განყვიტოს ურთიერთობა პარტნიორთან

ან განქორწინდეს, აღიქმება დანაშაულად, რისთვისაც ქალმა პასუხი უნდა აგოს.

**ლაშა (42 წლის):** „... შენი გამოსწორება არ იქნებაო, გაიხურა კარი და წავიდა, მიმატოვა, დამშორდა ... რომ ვნახავ, მოვკლავ-მეთქი, ნათქვამი მაქვს. გამკეთებელი ვარ. ალბათ ესეც უნდა მოხდეს. მე საერთოდ პატიება არ ვიცი, მან ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ყველაფრის ღირსია. ცოტა მკაცრი გგონივართ ალბათ? მაგრამ მე ჩემი წესები მაქვს.“

ჩადენილი ქმედების ანალიზზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ოჯახის წევრების თუ თემის დამოკიდებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახის წევრი მამაკაცები ან თემის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძალადობა გამართლებულია.

**საპიბი (51 წლის):** „პატარა რკინის ნაჭერი ავიღე და რამდენჯერმე ჩავარტყი თავში. არ უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ცუდ ადგილას მოხვდა. მოვკალი, მაგრამ ამას ნამდვილად არ ვგეგმავდი. ასე გამოვიდა. ეს მისი არჩევანი აღმოჩნდა. ბოლომდე მეგონა, რომ ჭკუაზე მოვიყვანდი, გარშემო ხალხიც აკვირდებოდა ჩვენი ურთიერთობების განვითარებას. ახლა მათ თვალში მე ჩემი ღირსება დავიცავი. ჩემმა ცოლმა კი, თავისი არჩევანი თვითონ გააკეთა.“

## დასკვნა

კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ინდივიდუალური, სიტუაციური, საზოგადოებრივი და კულტურული რისკ-ფაქტორების ერთობლიობა ხელს უწყობს ზრდასრულ ასაკში ძალადობრივ ქმედებას.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი რისკფაქტორები, როგორცაა: ბავშვობაში გადატანილი ძალადობა, დაბალი აკადემიური მოსწრება, ცხოვრების მანძილზე გადატანილი ტრავმები, არასრულწლოვან ასაკში სამართალდარღვევების ჩადენა/ნასამართლობის ისტორია, ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად მოხმარება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, პარტნიორთან კონფლიქტები, დასაქმების სირთულეები, ფინანსური სტრესი, ტრადიციული და რიგიდული სოციალური ნორმები, საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც ამართლებს, მიზანშეწონილად ან მისაღებად მიიჩნევს ძალადობრივ ქმედებას – ხელს უწყობს ძალადობრივ ქცევას. აღნიშნული შედეგები შეესაბამება საერთაშორისო კვლევების შედეგებს.

გამომდინარე იქედან, რომ კვლევა ექსპლორატორული ხასიათისაა და მონაწილეთა მწირი რაოდენობა არ იძლევა შედეგების გენერალიზაციის საშუალებას, საჭიროა აღნიშნული საკითხის უფრო ღრმა და ვრცელი კვლევა.

### ელისო ამირეჯიბი - ძალადობის ეროვნული ქსელის პროგრამების კოორდინატორი